საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლენინური

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№109 (6335) 11 სექტემბერი 1990 წელი სამშაბათი ფასი 3 კაპიკი

ჩვენი დღეების ადამიანები

ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელობა, მისი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა სოფლის მშრომელთა მიწისადმი ერთგულებას, საქმისადმი გულშემატკივრობას ითხოვს. მდგომარეობიდან თავის დახსნის გზა ვლეხურ მეურნეობაზე გადასვლაში, მიწის პატრონის, ნამდვილი გულშემატკივრის ხელში გადაცემაში ჩანს.

მიწის ერთგულება, საქმის მოყვარეობა ბავშვობიდანვე მოსდგამს ლესინდელ ავთანდილ სილაგაძეს, ლესინდელიო ვამბობთ, მაგრამ ახლა ავთანდილი სოფელ დეხვირში ეწევა ახალმოსახლეობას. მშრომელი კაცი, ისე როგორც მისი თანასოფლელები არ დაინდო ბუნებამ და მეწყრული მოვლენის საშიშროებამ მშობლიურ სოფელს მოწყვიტა, მაგრამ თავს ბედნიერად თვლის, რომ სხვაგან, რაიონს გარეთ წასვლამ არ მოუწია, აქვე მეზობელ სოფელ დეხვირში მოხერხდა სამოსახლოდ მიწის ნაკვეთის გამოყოფა და მისი ოჯახით აქ აპირებს დამკვიდრებას. არ გაუჭირდება მშრომელ კაცს, სად ნაცნობი და მახლობელი მიწის, ადამიანების შეთვისება და სად ქართულ გარემოში, მაგრამ მაინც შენი მამა-პაპისეულიდან შორს გადასვლა.

საკარმიდამო იქაც კარგი ჰქონდა და ჯერჯერობით მით სარგებლობის საშუალებაცაა. ამასთან, ვიდრე ვლეხურ მეურნეობაზე გადავიდოდეს, ავთანდილ სილაგაზე 6500 კვადრატულ მეტრ სასიმინდეს და 1000 კვადრატულ მეტრ ზვარს უვლის. საქმე იცის, გამოცდილებაც საკმაო აქვს, შრომას შეზრდილ კაცს არ ეშლება ვაზის მოვლის საიდუმლოებაში გარკვევა, ბუნებრივია, არც სიმინდის ყანისთვის დაუკლია მოვლა. წლევანდელმა ამინდმაც შეუწყო ხელი, კარგად ასხია ვაზს, სექტემბერში ასეთი ამინდები კარგა ხანია ჩვენთან არ ყოფილა, ასე, რომ წლევანდელ შემოდგომაზე მიწა ამაგს ორმაგად აუნაზღაურებს ავთანდილ სილაგაძეს და მისნაირ შრომისმოყვარე სოფლის მშრომელებს, რომლებსაც არც ბაზრის ფასების გაზრდა აშინებთ და არც სასურსათო მაღაზიების ცარიელი თაროები. თავისი შრომით მოწეული იმდენი ექნება, რომ თავის მოთხოვნილებასაც თავისუფლად დაიკმაყოფილებს და ნამეტს, თუკი მოისურვებს, ბაზარში გაიტანს გასასყიდად.

ახლა ავთანდილი საკვების დამზადებაზე აქტიურობს, პირუტყვი საკუთარიც ჰყავს და კოლმეურნეობიდან იჯარით გაყვანილიც. ორი შვილის მამას, მეზობელ სოფელში რომ ახალმოსახლეობას იზეიმებს, მერე რაღა აქვს საშიში, შრომა უყვართ, ვაჟიშვილიც საქმიანი ჰყავს, მიწა-წყალი საკმარისი ექნებათ, ძალ-ღონე მათ ხელშია და გაჭირვებით არც აქამდე უჭირდათ და აწი კი მით უფრო, არაფერი გაუჭირდებათ.

ჯ. მანდარია.

კვალში უდგას მოვლენებს

დაამზადეს კურკოვანი ხილი

რაიონში დასასრულს უახლოვდება კურკოვანი ხილის დამზადება. ვინც გულიანად მიუდგა ამ საქმეს, წარმატებულად მიმდინარეობს.

კურკოვანი ხილის დამზადებაში დაწინაურდნენ ლაფანის სოფლო საბჭოს მშრომელები (დამამზადებელი ი. მოწონელიძე), რომლებმაც ჯერჯერობით 163 ტონა ხილი მიჰყიდეს ქვეყანას, როცა გეგმა 148 ტონის დამზადებას ითვალისწინებდა.

აქაურ მშრომელთა გადაწყვეტილებაა ორგანიზებულად იშრომონ თესლოვანი ხილის დამზადებისთვის და მოცემული გეგმა ამ საქმეშიც გადაჭარბებით შეასრულონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა მოადგილეების და წევრების დანიშვნის შესახებ

განიხილა რა რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმებისა და აღმასრულებელი კომიტეტების, პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, შრომითი კოლექტივების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივების და ამომრჩეველთა ჯგუფების წინადადებანი, „საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით დაინიშნა საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების 125-ვე საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეები და ოთხოთხი წევრი. მათ შორის:

ცაგერის რაიონში

№79 ცაგერის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—

ზაირა ბიქტორის ასული ბურჯანაძე—ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების მეთოდისტი;

წევრები:

ზაურ ვალერიანის ძე ახვლედიანი—ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს მთავარი ექიმი;

რეზო ჭიჭიკოს ძე ბურჯალიანი—საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტის განყოფილების ინსტრუქტორი;

ამალია დავითის ასული საღინაძე—ბუნების დაცვის რაიონული საზოგადოების პასუხისმგებელი მდივანი;

გივი ვალერიანის ძე ხეცურიანი—ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის განყოფილების გამგე.

მისამართი: ცაგერი, ლენინის ქ. №57, ტელ: 27-61.

ტყის მუშაკთა საზრუნავი

დღევანდელი მოთხოვნები გარემო პირობები, ბუნებრივ-ეკოლოგიური გართულებები უდიდეს პასუხისმგებლობას ანიჭებს სახელმწიფო სატყეო მეურნეობის მუშაკებს (დირექტორი ვ. დარახველიძე). მათი საზრუნავი ახლა მარტო სამრეწველო ნედლეულის, ხე-ტყის რეალიზაციის საგეგმო დავალების შესრულება კი არა, ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება, ტყის მოვლა-დაცვისა და ტყის კულტურების გაშენება-განვითარებისათვის განსაკუთრებული ზრუნვაა.

წარმატებით აქვთ შესრულებული სამრეწველო პროდუქციის წარმოების 8 თვის გეგმა 13 ათასი მანეთის ნაცვლად წარმოებულია 14,2 ათასი მანეთის პროდუქცია, გადაჭარბებით შეასრულეს ასევე რეალიზაციის გეგმა, რეალიზებული აქვთ 22 ათასი მანეთის ხე-ტყის მასალა, რაც გეგმას 2 ათასი მანეთით აღემატება.

გეგმის შესრულებისათვის კარგად იმუშავეს ცაგერისა და ქულბაქის სატყეო უბნებმა (ხელმძღვანელები ჯ. ჩორგოლიანი და ე. ახვლედიანი).

სატყეო მეურნეობის მუშაკები დიდ ყურადღებას აქცევენ ტყის კულტურების სანერგე მეურნეობების მოწყობას. მხოლოდ საკუთარი წარმოების ნერგით ხდება ტყის კულტურების საგაზაფხულო თუ საშემოდგომო რგვა.

მართალია საგრძნობლად შემცირდა ტყის ჭრები, მაგრამ რიგ სატყეო უბნებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ტყის უნებართვო ჭრებს, რისთვისაც მეტი ყურადღება მართებთ.

მიმდინარეობს საარჩევნო კამპანია

რეგისტრაციაში გატარებულად ითვლებიან

თერთმეტი პოლიტიკური პარტიიდან და საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან, რომლებსაც საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნებში მონაწილეობისათვის რეგისტრაციაზე უარი უთხრა, რვა მათგანმა ისარგებლა უფლებით, გაესაჩივრებინა კომისიის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ასეთი უფლება, როგორც ცნობილია, მათ მიანიჭა ახალმა კანონმა რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების შესახებ.

როგორც საქართველოს უზენაეს სასამართლოში გვაცნობეს, შეტანილი სარჩელების ყოველმხრივი განხილვის შემდეგ, სასამართლომ გამოიტანა დასკვნა, რომ ექვს პოლიტიკურ პარტიასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას აქვს რეგისტრაციის საფუძველი. ესენია — საქართველოს პროგრესულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს შრომის პარტია, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნული პარტია, საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი, საქართველოს აგრარული კავშირი, საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინი“.

განმარტა რა ეს ფაქტი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ყორდანიამ თქვა:

—რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ყველა აღნიშნული პარტია რეგისტრაციაში გატარებულად ითვლება.

ამრიგად, საქართველოს მომავალ პარლამენტში დეპუტატთა მანდატებისათვის წინასაარჩევნო ბრძოლაში ებმება 35 პოლიტიკური პარტია და საზოგადოებრივი ორგანიზაცია. არჩევნების შესახებ ახალი კანონის თანახმად, მათ უფლება აქვთ თავიანთი შეხედულებისამებრ გაერთიანდნენ საარჩევნო ბლოკებად, რომელთა ფორმირება და რეგისტრაცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მთავრდება არჩევნებამდე 40 დღით ადრე, ესე იგი 18 სექტემბერს.

(საქინფორმი).

ბაიზარდა კომბინატის წარმადობა, ასორტიმენტი

ინვაპეთ ლეჩხუმური მურაბა, კომპოტი, პიურე, ხილფაფა

სასურსათო კომბინატში ცარიელ დღეებია ახლა. კოლექტივმა წლევანდელი სეზონი განახლებული ასორტიმენტის პროდუქციის გამოშვებით დაიწყო. წარმოების გამგემ მელორ მამარდაშვილმა ჩვენთან საუბარში თქვა, რომ კომბინატი მთლიანად გადაიარაღდა, ძველი დანადგარები თითქმის ლიკვიდირებულია და ახლა ფაქტიურად საკონსერვო ქარხნის პრინციპითა და მოცულობით ვმუშაობთ.



კომბინატში ბევრი სიახლე დაინერგა. წარსულს ჩაბარდა ერა, როცა გამოშვებულ წვენ-ექსტრაქტებზე რესპუბლიკის გარეთ იდებოდა ხელშეკრულებები. ხელი იყო შეფერხება-სიძნელეები მის რეალიზაცია-ტრანსპორტირებაში, საწარმო მძიმე ფინანსურ კრიზისს განიცდიდა.

აქაურმა სპეციალისტებმა დღეს, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პირობებში, სწორად გაიანგარიშეს რომელ პროდუქციაზე მეტი მოთხოვნილებაა, თანაც გაითვალისწინეს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები. ამიტომ დაიწყეს ტყემლის, ქლიავის, ღოლნაშოს, შინდის კომპოტების, ქლიავის, მაუვლის, შინდის მურაბების, შინდის, ვაშლისა და მსხლის პიურეს-ხილფაფების და ა. შ. დამზადება.

ახალი ასორტიმენტის ათვისება ხომ არ გაგიჭირდათ?—ვეკითხებით.

ჩვენს ქალებს არ ეშლებათ მურაბა-კომპოტების დამზადება, მით უფრო, ჩვენთან ძირითადად ყველა ოპერაცია: ხილის გარჩევა-გარეცხვა, მოთუთქვა, ქილებში ჩაწყობა და სხვა, ხელით სრულდება. ასე, რომ გადასპეციალება არავის დასჭირვებია.

დღეისათვის კომბინატში 250 პირობითი ქილა პროდუქცია აწყვია. ესაა აქაურ მშრომელთა წახელაები ნახევარკილოგრამიან და კილოგრამიან ქილებში — მურაბა - კომპოტი.

მზა პროდუქციის გასაღებას არ ჩქარობენ მშრომელები. მათ გადაწყვიტეს პროდუქციის მიწოდება ძველებურად ხელაღებით არ მოხდეს. ეძებენ ისეთ ორგანიზაციებს, რომელთაც მიაწვდიან თავიანთ პროდუქციას, მათგან კი სამაგიეროს მიიღებენ (ან სამშენებლო მასალას, ან სხვას კოლექტივისა თუ რაიონისათვის საჭიროს) გაცვლითი ოპერაციების საკითხი დასმულია ცეკავშირის გამგეობის წინაშე და მისი მეშვეობით უნდა მოგვარდეს.

კომბინატის მშრომელები ფიქრობენ და სავსებით სწორად, რომ თავიანთი პროდუქცია მიაწოდონ რაიონის საბიუჯეტო ორგანიზაციებს საბავშვო დაწესებულებებს. საიმედო, ხარისხიანი, ხილის იაფი კონსერვები პირველ რიგში უნდა მიიღონ ჩვენმა ბავშვებმა და მშრომელებმა. ამისათვის საჭიროა გაფორმდეს სათანადო ხელშეკრულებები.

მიმდინარეობს ქლიავ-ჭანჭურის მასიური შემოსვლა. აღმასკომის გადაწყვეტილებით უკვე 40 კაპიკად იღებენ ჭანჭურს შეუფერხებლად. ეს არაა ცუდი ფასი და საშუალება, მაშინ, როცა ხილის პუნქტებში ვერ უზრუნველყოფენ ხილის მიღებას ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო. საკარმიდამო ხილი არ უნდა ვაზარალოთ ადამიანებს. რაკი ცეკავშირის სისტემაში შევდივართო, გვითხრეს, ისიც შეგვიძლია, რომ პირდაპირ შევიდეთ მოსახლეობაში და ხელზე შევიხსიდოთ ნედლეული. ესეც რა თქმა უნდა, სასიამოვნო ცნობა და დიდი სიკეთეა ჩვენი მოსახლეობისათვის.

იმისათვის, რომ საწარმომ გეგმაზომიერად იმუშაოს, გამოირიცხოს იერიშობანა და უხარისხობა, გადაწყვიტეს, ერთბაშად არ დაამზადონ შემოსული ნედლეული. კომბინატს აქვს სპეციალური გერმეტული ჭურჭელსათავსოები, სადაც მიღებულ ხილს ნახევარფაბრიკატის წესით ინახავენ და შემდეგ თანდათან, შემოდგომა-ზამთრის თვეებში დაამზადებენ მისგან სასურველ პროდუქციას: ხილფაფას, პიურესა თუ სხვას, რომელზედაც მეტი იქნება შეკვეთა-მოთხოვნა.

შემოდგომის დღეებში მიიღებენ იზაბელას ჯიშის ყურძენსა და კომშს საკომპოტედ.

სულ 1700 ტონა კურკოვანი და თესლოვანი ხილი უნდა გადაამუშაონ ამ სეზონზე კომბინატის მშრომელებმა. აქ მეტის მიღების შესაძლებლობა არის. მიმდინარე სეზონზე აღსდგება აგრეთვე სპირტის სახდელი საამქრო.

თითოეული ლეჩხუმელისათვის სასიამოვნო ფაქტია, რომ გაიზარდა სასურსათო კომბინატის წარმადობა, ასორტიმენტი, აქ გონივრულად დაიწყეს ფიქრი ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევაზე, საწარმოს შემოსავლისა და მოგების რეალურ გზებზე, მუშათა შრომის ნორმალურ პირობებზე, მეტი მუშახელის დასაქმებაზე, უკეთეს ანაზღაურებაზე, რაიონში მოწეული ხილის დიდი ნაწილის შეუფერხებელ მიღება-დამუშავებაზე.

უდავოდ სასიამოვნო დასაწყისია, თუმც მუშაობის შეფასება ადრეა. საპასუხისმგებლო შრომა და კონკრეტული შედეგები წინაა.

მ. ძნელაძე.

სურათებზე: მარცხნივ—სპირტის ქარხნის მშენებლობაზე, მარჯვნივ—მიმდინარეობს სიროფის ჩასხმა.

ფოტოები ზ. გზოგაფასი.

კოლექტივი ვეტერანთან

დაბედილი ბედაურივით მიქრის წლები. თაობან თაობა ცვლის. გვაგონდება რედაქციასა და სტამბაში მუშაობის დაწყების პირველი წლები, უმრავლესობისათვის ახალი და რთული საქმე. თეთრად გათენებული დამეები, შავ პურზე დანაყრება ვეიან ღამით სტამბაში ისე, რომ ბოლოს ბოლო ... [illegible] ... ოთხ ... [illegible] ... ბ ... [illegible] ... ბ ... [illegible] ... ბ

მოდის ახალი სასწავლო წელი

მთელი საქართველო მოიცვა ეროვნულმა მოძრაობამ, რომლის ამაღორძინებელი ახალგაზრდობაა. სწორედ ამ მოძრაობის გასაღონიერებლად გვჭირდება ცოდნა და განათლებაც. თუ ილიას გზას მივდევთ, უნდა მოვუსმინოთ კიდეც მას, ერის სულიერი მამა ხომ ასე ბრძანებდა—„ჭეშმარიტი განათლება განვითარებული გონების გაწრთვნილი ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად“.

ალვზარდოთ მომავლის მოქალაქეები

განვითარებული გონება და გაწრთვნილი ზნე-ხასიათი მოაქვს წიგნს, მერხს, სკოლას, სკოლას აკისრია მეტად საპასუხისმგებლო მისია—აღზარდოს ახალი ადამიანი, რომელიც შეძლებს აშენოს მომავლის საქართველო. ამ დიდ საქმეს კარგად ართმევს თავს ლასურიაშის საშუალო სკოლა. ჩვენი სკოლის ყველა მუშაკს კარგად გვესმის და გაცნობიერებული გვაქვს, რომ თანამედროვე სკოლამ უნდა ჩაუნერგოს მოზარდს სამშობლოს სიყვარული, მის წინაშე მოვალეობის გრძნობა, აზიაროს იგი ზოგადსაკაცობრიო იდეალებს, მისცეს მტკიცე მეცნიერული ცოდნა.

ახალგაზრდობა საფუძვლიანად უნდა გაეცნოს საქართველოს წარსულს, აწმყოს და მომავალს. ამას მარტო საქართველოს ისტორიის გაკვეთილები არ ეყოფა. ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა ელზა ხეცურიანმა და თინათინ ჭაბუკიანმა კარგი ცოდნა გამოავლინეს რაიონში ჩატარებულ ვიქტორინაში საქართველოს ისტორიაში. მეათე კლასელმა ელზა ხეცურიანმა მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისში ჩატარებულ ვიქტორინაში და პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა. მაგრამ ესენი ერთეულია. საქართველოს ისტორია კი ყველამ უნდა ისწავლოს, რისთვისაც საჭიროა ყველა საგანი ზემოქმედებას ახდენდეს მოსწავლის სულზე. მე, როგორც მათემატიკოსს, ძალიან მომწონს დამხმარე კრებულების: „ალგებრა და საქართველოს მატიანე“, „სეტიცხოვლიდან—პითაგორამდე“ გამოცემა, რომლებსაც მალე მივიღებთ. ამ წიგნებით და მათში მოცემული ამოცანებით ახალგაზრდობას მივიყვანთ ჩვენი ერის და სამშობლოს ისტორიულ გადასახედთან, რათა შეიგრძნოს, თუ „ვისი გორისა არის“ საიდან მოდის და საით წავიდეს. ამ დროს გაკვეთილის პროცესს თან ახლავს ისტორიისა და მათემატიკის ჰარმონიული შეხმატკბილება.

ლასურიაშის საშუალო სკოლის მასწავლებლებს კარგად გვესმის მომავალ საქართველოს რეალური ახალგაზრდობა გამოადგება და ჩვენც მთელი ენერგიით ვმუშაობთ. დროულად შევადგინეთ ახალი, 1990-1991 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების გეგმა, ვიზრუნეთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, 700 მანეთის თვალსაჩინოება შევიძინეთ, კაბინეტის გამგეებმა მოსწავლეთა დახმარებით კლასებში ჩაატარეს მიმდინარე რემონტი, შეღებეს—იატაკი, კარ-ფანჯრები, შეკეთდა დგამ-ავეჯი.

სკოლას აქვს ხეხილის ბაღი, საცდელი მიწის ნაკვეთი, რომლის მოვლა-პატრონობით ბავშვები შრომას ეჩვევიან, შემოსავალი კი სკოლის მატერიალური ბაზის განმტკიცებას ხმარდება. ამ ზაფხულს სკოლის ნაკვეთის შემოსავლებიდან 1200 მანეთი დავხარჯეთ ეზოს შემორაგვისათვის, 310 ბახეთი დერეფნების ესთეტიკურად მოწყობას მოვახმარეთ. დავამზადეთ სტენდები: „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა“, „დედაენის შემომქმედი“ და სხვა. სკოლისათვის დროულად შემოვზიდეთ შეშა, საკმაო რაოდენობით გვაქვს თუნუქის ღუმელები.

სახელმძღვანელოები, რაც რაიონში არის შემოზიდული, ჩვენც გვაქვს. ჩავატარეთ პირველი პედაგოგიური საბჭოს სხდომა, გამოვყავით კლასის, მეთოდგაერთიანების, წრეების ხელმძღვანელები, რომლებმაც უკვე დაიწყეს სამუშაო გეგმების შედგენა.

ჯერჯერობით ვერ შევასრულეთ გეგმით გათვალისწინებული სპორტდარბაზის კაპიტალური რემონტი, რაზედაც ზრუნავს ყველა—სკოლა, განათლების განყოფილება, რაიონის ხელმძღვანელობა და ვფიქრობთ, პირველი ოქტომბრისათვის ეს საკითხი მოგვარდება.

ახლა მთავარია მაქსიმალურად გამოვიყენოთ სწავლის დაწყებამდე დარჩენილი დრო და მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმე ისე წარვმართოთ, რომ სრულად პასუხობდეს დღევანდელობის გაზრდილ მოთხოვნებს.

ნ. ქარსელაძე.

ლასურიაშის საშუალო სკოლის დირექტორი.

აგროფირმა ძალას იკრებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოლდავეთი. არც თუ დიდი ხნის წინ რიშჟანსკის რაიონის აგროფირმა „მოლდოვა“ იყო ჩვეულებრივი სამეურნეობათშორისო საწარმო. დღეს ის მსხვილი მრავალდარგოვანი მეურნეობაა.

ძირითადი მოგება მოაქვს ბოსტნეულის კონსერვებს. ხუთი საწარმოო ხაზი იძლევა 30 დასახელების პროდუქციას. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ იგზავნება.

„მოლდოვას“ მატერიალური დონის ამაღლებამ თანამშრომელთა ცხოვრების პირობებიც გააუმჯობესა. მეურნეობამ ააშენა უნივერმაღი, საბავშვო ბაღი, მუსიკალური სკოლა. გამოყოფილია ფული და სამშენებლო მასალები მათთვის, ვისაც საცხოვრებელი სახლის აშენება სურს. ახალგაზრდა ოჯახები და ვეტერანები დამატებითი შეღავათებით სარგებლობენ. ამისთვის საშუალებები არა მარტო ფირმის მოგებიდან გამოიყოფა, არამედ აქციონერთა საზოგადოების ფონდიდანაც, რომლის წევრთა რიცხვი საკმაოდ გაიზარდა.

სურათზე: აგროფირმის სამუშაოთა მწარმოებელი ევგენი ფრეკუფცანე საპატიონერო საზოგადოების წევრია.

ა. სიმანოვსკის ფოტო.

„მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს“

ასათიანის ქუჩა №5... სახლში დიდ ტკივილსა და მონატრებას დაუსადგურებია. სურათებიდან ორი ვაჟკაცი იმზირება, 19 გაზაფხულს რომ მოესწრნენ მხოლოდ... ქალბატონ თამარს უჭირს საუბარი, ცრემლების გარეშე არ შეუძლია ძმების გახსენება...

ეკატერინე და აკაკი ბენდუქიძეების ოჯახში სამნი იზრდებოდნენ—შალვა, გიორგი და თამარი. უფროსი შალვა ცაგერის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ლენტეხის რაიონის ხოფურის დაწყებით სკოლაში მუშაობდა პედაგოგად, მერე გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტზე ჩაერიცხა. 1939 წელს კი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს.

იგი ქალაქ ლვოვში მსახურობდა. ერთხანს მოდიოდა წერილები, ბოლოს კი... შეწყდა. მამას მიუღია შვილის უგზოუკვლოდ დაკარგვის ცნობა, მაგრამ სიკვდილამდე ისე დაატარებდა გულში, დედისათვის არაფერი გაუმხელია.

მეორე ძმა, გიორგი, სკოლის დამთავრების შემდეგ გვესოს კოლმეურნეობაში მუშაობდა. ომი რომ დაიწყო, იგი მოსკოვის მისადგომებთან იმყოფებოდა. გმირულად იბრძოდა, იმედიან წერილებსაც იწერებოდა—მე აუცილებლად დავბრუნდებიო, მაგრამ... ვერც მან იხილა მშობელი მხარე, არც მას ეღირსა ქართული მიწა. ძმების დაღუპვისა და მათი საფლავების არსებობის შესახებ ოჯახმა და ახლობლებმა არაფერი იცოდნენ.

ომრს დატოვეს საქართველო

ომი დამთავრდა... მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი ქართველი მეომრის საფლავიც აღმოაჩინეს. 1985 წელს გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა წერილი „შორეული იტალიის მიწაზე“, რომელშიც მოთხრობილი იყო ლეზინიანო ბანისთან გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში გმირულად დაღუპული პარტიზანების ამბავი.

წერილს საფუძვლად დაედო რედაქციის სახელზე გამოგზავნილი გენერალ ი. ტიულენევის პირადი არქივის მასალა. ლეზინიანო ბანის სასაფლაოზე ამოკვეთილია გმირთა სახელები, რომლებიც ამ ბრძოლაში დაიღუპნენ. ალექსი კოკუმაშვილი, ალექსი კურინოვი, ივანე ჩელაკულინი, შალვა ბენდუქიძე, იტალიელი პარტიზანი პარიგო ავგუსტინი.

ბრძოლის უშუალო მონაწილეები ამტკიცებენ, რომ ეს მებრძოლები იყვნენ ვანო ლოქოშვილი, ალექსი გოგოლიშვილი, შალვა ბენდუქიძე. დოცენტი ა. სურგულაძე გვამცნობს ამონაწერს მწერალ მ. გალენის წიგნიდან, რომელშიც ბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდია ასახული. „გერმანელთა გარნიზონზე თავდასხმისას პარტიზანები წააწყდნენ მტრის დიდ შენაერთს. უთანასწორო ბრძოლა გაჩაღდა და ისინი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რადგან სრული განადგურება დაემუქრათ. ერთმა მეომარმა ღია პოზიციიდან მტერს ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინა, მამაცი მებრძოლი უსულოდ დაეცა... დაიღუპა მეორე, მესამე, მეოთხე მეომარი. მათ პარტიზანთა მთავარ ძალებს გარნიზონს. დაზვერვის ცნობით, იქ მაშინ შეიარაღებული გარნიზონი აღმოჩნდა. ამიტომ პარტიზანებს მტერთან გააფთრებული ბრძოლა მოუხდათ.

ცაგერის სამხედრო კომისარიატში მიიღეს ცნობა, რომლითაც იტყობინებოდნენ რომ შალვა აკაკის ძე ბენდუქიძე დაიღუპა 1944 წლის 22 სექტემბერს პარმის პროვინციის დასახლება ლეზიმიანო ბანიში.

ამ ამბავის გაგების შემდეგ ქალბატონ თამარს რაღა მოასვენებდა. შეხვდა შ. სიგუას და ა. სურგულაძეს, რომლებმაც ბევრი რამ იცოდნენ შალვა ბენდუქიძის გმირული ბრძოლების შესახებ. იტალიაშიც გაგზავნა წერილი.

ცრემლები ეძალება ქალბატონ თამარს—ორი ღმერთივით ძმა მყავდა და იმ ავადმოსაგონარმა ომმა დამტირებელიც არ დამიტოვაო. იგი სათუთად უვლის, უფრთხილდება ყველა წერილსა და ფოტოსურათს, რაც ძმებთანაა დაკავშირებული. ახლა ალბათ ერთადერთი დიდი ნუგეშია ამ ცრემლადქცეული ქალბატონისათვის ძმის საფლავის არსებობა, მას ხომ უგზო-უკვლოდ დაკარგული აღარ ჰქვია.

ასათიანის ქუჩა №5... სურათებიდან სხივანთებული ბიჭები შემოგვცქერიან, ოჯახის წევრებმა, ახლობლებმა, რომ ვერ დაიტირეს, საქართველოდან ძალიან შორს რომ განისვენებენ. ვტოვებთ მოწყენილ სახლს და სევდიან ქალბატონს...—ასე რატომ გამწირეს და მიმატოვეს, ხომ იცოდნენ ჩემი გულის ამბავი, როგორ მომენატრებოდნენო, გულს სევდა შემოგვაწვა, ვერაფრით შევძელით მისი დამშვიდება...

გელა სალინაძე.

შეიძლება ეპიდემიამ იფეთქოს

მედიკოსები შეშფოთდნენ: შარშან მხოლოდ მოსკოვში 90 ბავშვი დაავადდა დიფტერიით. წლეულს, ოთხი თვის განმავლობაში 94 შემთხვევაა რეგისტრირებული. ექიმების ძალისხმევის მიუხედავად, ოთხი ბავშვი გარდაიცვალა. შეშფოთებამ მოიცვა ლენინგრადელი ექიმებიც. დაავადების ზრდის ტენდენცია იგრძნობოდა შარშან ზოგიერთ რესპუბლიკაში. მაგალითად თურქმენეთში დაავადების შემთხვევები ორჯერ გაიზარდა.

დიფტერია საშიშ დაავადებად ითვლება როგორც ბავშვების, ისე დედებისთვისაც. ექიმებსა და მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ დაავადება გაახშირა აცრის საწინააღმდეგო კამპანიამ, რომელმაც შარშან განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მიიღო.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ვ. პოკროვსკიმ თქვა, რომ ყველაფერი დაიწყო საკანდიდატო დისერტაციის დაცვით, რომელშიც საუბარი იყო ვაქცინის შესაძლო მავნე მოქმედებაზე. ეს გამოკვლევა ანგარიშგასაწევია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ უკუჩვენება ყველა სხვა წამალსა და პროფილაქტიკურ საშუალებასაც აქვს, ძველი სამედიცინო სიბრძნე გვეუბნება: აბსოლუტურად უვნებელი წამალი არ არსებობს. მკურნალობა რამდენიმედან ნაკლებად მავნეს შერჩევაა. ექიმის ხელოვნება ისაა, რომ სწორად განსაზღვროს დოზა და დანიშნოს კურსი, რაც შეეხება ვაქცინას, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ასაცრელის ჯანმრთელობის მდგომარეობას.

გზა, რომელიც მშობლებმა აირჩიეს, სულ სხვაა: რადგან იშვიათად მაინც (470 შემთხვევიდან—ერთი) უკუჩვენებას იძლევა, საერთოდ უარი თქვეს აცრაზე. ამ უარის შედეგებზე, მოსკოვის მაგალითით, უკვე გვქონდა საუბარი, გაიზარდა ყივანა ხველას რაოდენობაც, არის სიკვდილიანობის შემთხვევები.

ყველასათვის ცნობილი არაა, რომ განვითარებულმა ქვეყნებმა—შვეციამ, ინგლისმა, იაპონიამ რამდენიმე წლის წინათ გადაიტანა იგივე პროცესები. ინგლისში, მაგალითად, 70-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა აცრებისაგან ბავშვის დაცვის კომიტეტი. განსაკუთრებით ეს ეხებოდა ყივანა ხველას საწინააღმდეგო ვაქცინას.

გადაწყვეტილება აბსოლუტურად სწორი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ ყივანა ხველას შემთხვევები თითქმის არც კი იყო, იმ დროისათვის. შედეგად ორიოდე წლის შემდეგ დაიწყო ეპიდემია, ამიტომ ბრიტანეთის ჯანმრთელობის ორგანოებმა დაიწყეს მასობრივი აცრები. იგივე მოხდა იაპონიასა და შვეციაში.

როგორია ვაქცინის მოწინააღმდეგეთა არგუმენტაცია. ყივანა ხველას, დიფტერიის, ტეტანუსის საწინააღმდეგო ვაქცინას შემადგენლობაში საკმაოდ მცირე რაოდენობით არის ვერცხლისწყალი. ეს მართალია, მაგრამ როცა ინგლისში ექსპერტები სასამართლოში იხილავდნენ ამ საკითხს, დაადგინეს, რომ ამ ნივთიერების მავნე მოქმედება ნერვულ სისტემაზე არ დადასტურდა, წელიწადნახევრამდე ასაკის ბავშვებს ყოველგვარი ვაქცინის ან გარეგანი ჩარევის გარეშეც ემართებათ კრუნჩხვები, არის მოულოდნელი სიკვდილიანობის შემთხვევებიც. ინგლისელი მეცნიერები თვლიან, რომ ამ მხრივ დიაგნოსტიკა მაღალ დონეზე არაა, ამიტომაც ბევრი რამ გაურკვეველია, ვაქცინაციამ შეიძლება გამოიწვიოს მაღალი ტემპერატურა, მაგრამ სერიოზული გართულებები არ არის მოსალოდნელი. ასი ათასობით აცრიდან ერთი მძიმე შემთხვევაც თუ იქნება, ესეც იმიტომ, რომ აცრა გამოავლენს დაფარულ დაავადებას.

სად არის გამოსავალი?

საჭიროა აცრებისადმი ინდივიდუალური მიდგომა. სუსტ ბავშვებს, რომელთაც კრუნჩხვებისადმი აქვთ მიდრეკილება, არ უნდა გავუკეთოთ ყივანა ხველას საწინააღმდეგო ვაქცინა. მაგრამ ჯანმრთელი ბავშვები არ უნდა ავარიდოთ აცრას. თუ იგი ვაქცინას არ მიიღებს, დაავადების საშიშროება სერიოზული გართულებებით 20 ათასჯერ (?) იმატებს.

მშობლები სამართლიანად საყვედურობენ ფორმალიზმზე ბავშვთა ექიმისა და ექთნების მუშაობაში. ერთი მამა, რომელსაც უნდოდა ბავშვისათვის აცრა აერიდებინა, წამყვან სპეციალისტებამდე მივიდა. როცა მას აუხსნეს მოსალოდნელი გართულებების შესახებ, თქვა: „თავიდან რომ აეხსნათ...“

ასე, რომ ყველა ბავშვისათვის ერთიანი რეცეპტი არ არსებობს. გვინდა, რომ ჩვენმა შვილებმა რაც შეიძლება მალე მიიღონ გენო-სინეფინრო ვაქცინა—იგი შექმნილია, აპრობაციას გადის, მაგრამ ჯერ მასობრივად არ გამოდის. მასში პრაქტიკულად არ არის მავნე კომპონენტები.

ჯერჯერობით ორი უბედურებიდან უფრო ნაკლებს ვირჩევთ. ფაქტია, რომ ვაქცინაცია იმუნიტეტს ქმნის და სიცოცხლეს გადაარჩენს.

მართალია ისიც, რომ ვაქცინის ზემოქმედება გარემოს დაჭუჭყიანების პირობებში იცვლება. ადრე მეცნიერთა ეს გამოკვლევები საიდუმლოდ ინახებოდა. ახლა უკვე ნათელია, რომ ძლიერი დაჭუჭყიანების პირობებში იმუნიტეტი იკლებს, ან სრულებითაც არ ყალიბდება. მძიმედ მოქმედებს იმუნიტეტზე ინფორმაციის, განსაკუთრებით უარყოფითი ინფორმაციის მომძლავრებაც.

ვფიქრობთ, ღირს დაფიქრებად.

ს. ტუტორსკაია.

მეჩვიდმეტე მარიამობისთვე

აგვისტოში 17 წელი შეუსრულდებოდა 9 აპრილის მსხვერპლთა უმრწემეს წევრს ეკა ბეჟანიშვილს.

...ხმები დადიოდა იმ გაზაფხულზე:

—იცრემლებოდაო ღმერთი...

—ჩატეხილი ხიდი საქართველოში...

—წმინდანთა დასი ხლებიაო ქეთევან დედოფალს, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული...

შენც ამ დასის ღირსეული წევრი აღმოჩნდი, ეკა!

ჩვიდმეტი წელი, არა, თხუთმეტი წელი, თექვსმეტისაც არ იყავი მაშინ, ჰო, მაშინ. იცი ეკა, საქართველოსთვის დრო ორად გაიყო: „9 აპრილამდე“ და „9 აპრილის შემდგ“.

რუსთაველის პროსპექტზე თავდავიწყებით ცეკვავდა ქართველი ასული. მასში ყიო�sა ქართული ასული, ... ქართული ... „ყველას — ... — ... გვჩეხენო ბარებით, ტანკებით, ვერ გაგვსრესენო ყველას“—იმედობდა და სხვებსაც აიმედებდა. ცეკვავდა თავდავიწყებით.

ეს შენ იყავ, ეკა, გიყვარდა სიმღერა, ცეკვა, გიტარა, გიყვარდა ყოველივე ამქვეყნიური, ყოველივე ქართული...

შენს სულს თავისუფლება სწყურიოდა, ალბათ ამიტომ არ იკმარე თხუთმეტი ზაფხული, თხუთმეტი 9 აპრილი, ალბათ ამიტომ გადასახლდი მარადისობაში.

—წმინდანთა დასი ხლებიაო ქეთევან დედოფალს...

...„ყველას ვერ დაგვჩეხენო ბარებით!...

ყველას ვერ გაგვსრესენო ტანკებით!...

მაინც ვერ დაგვაჩოქებსო მტერი!“

—ფიქრობდა თურმე ქართველი ასული...

ნანა აკოგიძე.

სოფ. მახურა.

ბილოცავთ

ახლადდაქორწინებულებს!

მარინე ოთარის ასულ ხვადაგიანს
მევლუდ ევტეხის ძე ჩაკვეტაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. სიხარული და სიყვარული ნუ მოკლებოდეს თქვენს ახლადშექმნილ ქართულ ოჯახს.

შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებისა და არასაუწყებო დაცვის ქვეგანყოფილების თანამშრომლები.

ბილოცავთ

კუკური თედორეს ძე მდივანს

გილოცავთ დაბადების 60 წლისთავს. გისურვებთ დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას.

შვილები და შვილიშვილები.

კუკური თედორეს ძე მდივანს

გილოცავთ დაბადების 60 წლისთავს. დღეგრძელი და ბედნიერი ყოფილიყოს შენი მრავალრიცხოვანი ოჯახის მთელი შემადგენლობა.

მარიამ კახიძე, გელა ხვადაგიანი, ემზარ მდივანი, ოთარ ხაბულიანი, თამაზ ჩაკვეტაძე ოჯახებით.

დაიწყო ხელმოწერა ჟურნალ-გაზეთებზე

1 სექტემბრიდან დაიწყო და მიმდინარეობს საზღვარგარეთის, საკავშირო, რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა. ჯერჯერობით რესპუბლიკური პრესის კატალოგი არ მიგვიღია, მაგრამ ჩვენთვის ცნობილია, რომ ფასები კატასტროფულადაა გაზრდილი.

როგორც ჩანს, ქაღალდის დეფიციტი და სხვა სიძნელეები მსოფლიო პრობლემაა, ასე მაგალითად, გერმანული გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდ“ 14 მანეთი და 40 კაპიკი ღირდა, ახლა კი 293 მანეთი ღირს, იგივე შეიძლება ითქვას პოლონური და სხვა ქვეყნების პრესაზე.

რაც შეეხება საკავშირო ჟურნალ-გაზეთებს, კატალოგი უკვე გვაქვს და შეგვიძლია მკითხველს გავაცნოთ იმ ჟურნალ-გაზეთების ფასები, რომლებზეც ტრადიციული მოთხოვნილებაა ჩვენს რაიონში. გაზეთი „პრავდა“ წლიურად 9 მანეთი და 24 კაპიკი ღირდა ახლა მისი ფასი 19 მანეთი და 92 კაპიკია, „იზვესტიას“ ფასი 9 მანეთიდან 22, 56 მანეთამდე გაიზარდა, „ოგონიოკის“—20, 76 მანეთიდან 46, 80 მანეთამდე, „სელსკაია ჟიზნის“—7,80 მანეთიდან, 13,80 მანეთამდე და ა. შ.

ამ დღეებში შემოგთავაზებთ რესპუბლიკური პრესის ზუსტ ფასებს.

ძვირფასო მკითხველებო! ხელმოწერა გასტანს 31 ოქტომბრამდე. ამ წერილის მიზანიც ისაა, დროულად დაიჭიროთ თადარიგი, გაანაწილოთ ოჯახის ბიუჯეტი ისე, რომ არ დარჩეთ თქვენთვის სასურველი ჟურნალის ან გაზეთის გარეშე.

ხელმოწერები მიიღება, როგორც სოიუზპეჩატის რაიონულ, ისე ადგილებზე, კავშირგაბმულობის განყოფილებებში.

ტარიელ გუგავა, ჟორა ხეცურიანი, ბიჭიკო მურცხვალაძე, ციალა დოლბაია, ბიჭიკო გუგავა, მარიამ კახიძე, კუკური მდივანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლილი ლეთოდიანი-ჯიქია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გიორგი დაშნიანი, მევლუდ ლიპარტელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გურამ ამბროლიანი

ვასილ, რევაზ, ანზორ ლეთოდიანები, ზაურ ჩაკვეტაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლილი ლეთოდიანი-ჯიქია

ლუხვანოს საექიმო ამბულატორიის, ზედა ლუხვანოსა და ზარაგულის საფერშლო პუნქტების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მზია ბენიძეს დედამთილის

სონა ხვანიძის

გარდაცვალების გამო.

ნაზი, იაშა ხაბულიანები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლილი აპოლონის ასული ლეთოდიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გრიშა ალექსანდრეს ძე გუგავა ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ლილი აპოლონის ასული ლეთოდიანი-ჯიქია.

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

თენგიზ ჩიქოვანი, სოსო დავითულიანი, სოსო ფუტკარაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ როლანდ ჯიქიას დედის

ლილი ლეთოდიანი-ჯიქიას

გარდაცვალების გამო.

შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებისა და არასაუწყებო დაცვის ქვეგანყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ვალერი თუთისანს სიძის

რეზო შოთას ძე ბენდელიანის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—23-41 საკორექტოროს—22-43. **სტამბის დირექტორის** —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, **შეკვეთა** №105, ! ტირაჟი 4483

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.